თავისუფალი საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრცელი მაპიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

27 IX 1991 ფასი 50 კაპ. № 36 (41)

ფიქრები ქართულ ხასიათზე

საკვირველი კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, სხვის თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავის საკუთარი თვალებისა. თუ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომოს, ისე ხელობად დასჩემებია, რომ რაც უნდა კეთილ-სვინდისიანი საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის, რომ შენი გაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ვეღარ გაიგო, რათ უყვარს ქართველს ამისთანა სულის კლაკვნა? მრავალი რამ არის ამის მიზეზი, ჩემო მკითხველო, სხვათა შორის ისიცა, რომ სიკეთეს ყველანი გადავჩვეულვართ, კეთილი არა გვწამს, სული და გული ამოგვშრობია. კაცმა რომ პატიოსანს და კეთილს საქმეს თავი შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ დაიჯერებს. რატომ? იმიტომ, რომ ყოველივე ჩვენგანი იმ კაცის ალაგას თავის თავსა დააყენებდა და იტყოდა: მე უანგაროდ იმას ვიქმოდი? ამის პირდაპირი პასუხი „არა“ იქნებოდა, რასაკვირველია... „მაშ არც ის იქმოდა“, — დაასკვნის გონიერი ქართველი და გამოვიდა, რომ პატიოსანი თავგანწირული კაცი გაუპატიურებული იქნებოდა ქართველის თვალში. რისთვის? მარტო იმისთვის, რომ თითონ ქართველი იმის ადგილას პატიოსნებისთვის თავს არ გაიწირავდა, თუ რომ სხვა დაბალი განზრახვა გულში არა ჰქონდეს. მე ვიცნობ ერთს კაცს, რომელმაც სიმართლისათვის სამსახური დაჰკარგა, მაგრამ არც ერთმა ქართველმა ეს არ დაიჯერა. და იგი, სიმართლისათვის გამოგდებული სამსახურიდან, საზოგადოებაში არამც თუ ნუგეშსა, შეურაცხყოფას პოულობდა. ქართველის შეუსყიდებელი გული ეხლა შეისყიდება ხოლმე. თითონ რომ სიკეთეს გადაჩვეულა, სხვისაგანაც სიკეთე აღარა სჯერა; აღარა სჯერა, რომ იმ დედამიწაზედ, საცა თითონა სცხოვრობს და ათასი კიდევ სხვა მის მსგავსი, აღარა სჯერა — რომ იმ დედამიწაზედ კაცი არის, რომელსაც სიკეთე სიკეთისათვის უყვარს, რომელსაც იმოდენა სულის ძალაცა აქვს, რომ თუ გაჭირდა, სიკეთისათვის თავსაც დასდებს. ქართველი, როგორც თითონ არის, ისე თავის მოძმეც ჰგონია; ამიტომაც ყოველი პატიოსანი საქმე პატიოსნობის სიყვარულისაგან კი არა ჰგონია წარმომდგარი, არამედ რომელიმე დაბალი და სამარცხვინო გრძნობასა და წადილისაგან. ამით ჩვენში ყოველ ბრწყინვალე საქმეს სამარცხვინო ფერს მოაცხობენ ხოლმე, ყოველ კეთილშობილურს განზრახვას ლაფით მოსვრიან, ყოველს თავგამოდებითს ხალისს ადრე და მალე ჭუჭყიანის ხელით ფრთას მოჭკვეთენ ხოლმე. დიდი სულის ღონე უნდა, რომ კეთილმა კაცმა თავი შეიმაგროს და საზოგადო განკიცხვის ყიჟინამ არ შეაყენოს თავის დანიშნულ საგნის შუაგზაზედ.

* * *

მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. თუნდ რომ თავი გამოედოს ვისმე და აზრი და გრძნობა აღედგინოს. შენივე შვილები მიწასთან გაასწორებდნენ. „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო“: ჩვენ გულს გაგვიგმირავს ხოლმე ცხოველი სიტყვა, ჩვენის ძმისვე სიკეთე. ჩვენი ძმისვე ჩვენთვის თავგამოდება. პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისგანვე არის გამოტყორცნილი. წადი აქა და ძლიერი მუხლი ნუ მოგეჭრება, რათა ვართ ასე? იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც, გრძნობასაც გადავჩვეულვართ. მერე ასე გადავჩვეულვართ, რომ ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, უანგარო გულმხურვალება, თავგამოდებული ხალისი რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნობთ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ ვიცნობთ: ავიღებთ და იმასაც ლაფში გავსვრით, — იმ მიზეზით, რა მიზეზითაც დიდხანს ბნელს საპყრობილეში დამწყვდეული კაცი, როცა მზეზედ გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს, რადგან სინათლეს ისე გადაჩვეულა, რომ სინათლე თვალებსა სტკენს, და ამის გამო რაც ნათელია, ბრწყინვალე, იმას თვალების აფარებით ეაბნელებს. საწყალო ქვეყანავ! შენს ღონიერ დედამიწაზედ იქნება ორიოდე კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელიც სადმე მარტო ჩუმად სტირის შენს მაგ ყოფაზედ, ჩუმადა ტირის იმიტომ, რომ შენ შვილებს რომ თავისი ცრემლი დაანახოს, ის პატიოსანი, მდუღარე ცრემლი, — შენი კეთილი შვილები თვითონვე დასცინებენ და პატიოსანს ცრემლს უპატიოდ გაუხდიან.

* * *

ავბედისანი ვართო, ვიტყვით ხოლმე, რომ ჩვენვე ჩვენი თავი მოვატყუოთ. „რეგვენი საქმეს წაბდენს, ფათერაკს დაებრალებსო“, ნათქვამია. ბედი რა არის? ბედს თვითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტერები ჩვენ თვითონვე უფრო ვართ, ვიდრე სხვები. ამის აღიარება ჩვენ სირცხვილად მიგვაჩნია და ამიტომაც ყველაფერს ბრმა ბედს ვაბრალებთ. ჩვენა ვართ ცუდნი, მაგრამ ესეც კია, რომ სიცუდე ბუნებით კაცს თან არ დაჰყვება ხოლმე. მაშასადამე, ჩვენის ბუნების თვისებაში სიცუდე არა ყოფილა. ესეც გვეყოფა სათქმელად, რომ მიზეზს მივაგნოთ...

ასეთნაირად დავნამეცადით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ გავანამცეცეთ, მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არა ნიშნავდა, არამედ თვითეულის სოფლის საკუთრებასა. არ იქნება ხუთი წელიწადი, რაც მაგ საოცარმა და საყვარელმა სიტყვამ, რომლის ხსენებაზედაც სხვა ბედნიერ ქვეყნებში უღონოსაც ძალი ძიეცემა ხოლმე და მტლად დაედება საყვარელს მამულს, არ იქნება ოთხი-ხუთი წელიწადი, რაც მაგ საწყალთ-მოქმედმა სიტყვამ თავისი დაკარგული მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაიბრუნა. სიტყვა აღვადგინეთ, ჩვენ კი ვეღარ აღვდგებით, ვეღარ ვუყვეთ თანა.

* * *

მრავალი, მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსნური გრძნობა არ ჩავარდნია გულში. შენ გადაჩვეულხარ ერთსაც და მეორესაც, იმიტომ რომ სიპ ქვაზედაც რომ წვეთი მუდამ, დაუყოვნებლივ სწვეთდეს, იმასაც გაარღვევს. მერე ასე გადაჩვეულხარ, რომ ნახო კიდეც ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, ვერ იცნობ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერც იცნო, აიღებ და იმასაც ლაფში გასვრი. შენს ღონიერ დედამიწაზედ იქნება ხუთი და ექვსი კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელნიც სადმე კუთხეში ტირიან შენს ყოფაზედ, მაგრამ იმათი ხმა შეხამდინ როგორ მოაწევს. თუნდ მოაწიოს, რა გამოვა? კეთილს რომ გადაჩვეულნი ვართ, იმათ ბოროტების კუდს გამოვაბამთ; სიტყვას, რომელსაც იქნება გულიდამ სდსხლიც ამოაყოლა, წაუმურტლავთ, გრძნობას ფეხ-ქვეშ გაუსრესთ, იმედს სასაცილოდ აუგდებთ. რა ქნას იმან? უნდა მოგვშორდეს ჩვენ, წავიდეს სადმე, დაიმალოს ლ იგლოვოს ის ხალხი, რომელიც უყვარს, რადგანაც თვით იმ ხალხის შვილია, და რომელსაც ხსე გასწვრილებია, გასწბილებია გული და გონება, რომ სხვასაც არ იხდომს და, როგორც შურიანი, მართალს სიტყვას, პატიოსნურ ქცევას ამურტლებს და ჩრკვნის. კარგია, თუ ვინმე იმათგანი იმისთანა თამამი გულისაა, რომ ხალხის სიყვარულისათვის ამ საძაგლობას არ დაერიდება და ათას ჭირში და ვაი-ვაგლახში გააბობს მკერდით თავის მოძმეთა ბოროტებასა; მაგრამ მაინც კიდევ ხომ სიკვდილია იმისთვის, როცა ხედავს, რომ ვისთვისაც ჭირშია, ვისთვისაც იბრძვის, ვისთვისაც იტანჯება, ის პირველი ესერის ქვასა სხვათა შორის. რაც უნდა თავგამოდებული იყოს, რაც ღონე და გამბედაობა ჰქონდეს, მაინც და მაინც ღონეც და გამბედაობაც მოაკლდება, მუხლი მოეჭრება ცოტად მაინცა და ხალისიც დააკლდება. თქვენ არ იცით რა ძალა აქვს საზოგადო ხმას: როცა ის კაცს აქეზებს, კლდეს გაარღვევინებს, სუსტსა ახოვნებას აძლევს; და როცა ისევ ის ხმა ბოროტობს, თვით ახილესსა ქონდრისკაცად თუ არა ხდის, დაასუსტებს მაინცა. ტყუილად კი არა აქვთ მუშა ხალხთა ჩვეულება, რომ როცა მძიმე რასმესა სწევენ, ერთხმად დასძახებენ: ეს ხმა ბევრსა ჰშველის. სუსტს თავის უღონობას ავიწყებს. ტყუილად კი არ იციან მეომართა კეკინა, როცა უნდათ, რომ მტრის რაზმი გაარღვიოს, — ამ კეკინით მხდალი ლომადა ხდება.

მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, იმ კაცისათვის, რომელიც თავის-თავის გარეშეცდ, სხვაზედაც ფიქრობს, სხვაზედაცა სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარი ქრისტესი-საჭურველი მშვიდობისა

ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა — ერთ-ერთი უდიდესი საუფლო დღესასწაულია. წმიდა ეკლესიის მიერ იგი 14 (27) სექტემბერსაა დადებული.

ჯვრის ამაღლებას განსაკუთრებული მვიშნელობა აქვს ქრისტიანულ ეორტოლოგიაში.

როგორც ვიცით, ყველა საუფლო დღესასწაული ქრისტეს მაცხოვრების ამსახველია და ეძღვნება ამ მაცხოვარებით მისიის ცალკეულ მომენტებს: ხორციელად შობას, ნათლისღებას, ფერისცვალებას, იერუსალიმად შესვლა. აღდგომას ამაღლებასა და სულიწმიდის მოფენას. ე. ი. საუფლო დღესასწაულები ქრისტეს განხორციელების იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავენ, რომლებიც საღმრთო წერილშია მოთხრობილი. ეს არ ითქმის **მხოლოდ ჯვრის ამაღლების დღესასწაულზე.**

ჯვრის ამაღლების დღესასწაული დაწესდა წმიდა მოციქულთასწორის, ბიზანტიის დედოფალ ელენეს მიერ საუფლო ჯვრის პოვნის აღსანიშნავად (IV ს.).

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესია პირველი სამი საუკუნის განმავლობაში წარმართული სამყაროსაგან დევნას განიცდიდა. ქრისტიანები ყველასაგან მოძულებული იყვნენ, „ძვირფასულნი და ქენჯნილნი“. ვინც ქრისტესთვის ბოლომდე დაითმენდა განსაცდელს, წმიდათა კრებულს უერთდებოდა (შდრ. მათე 24, 13; მარკ. 13,13).

მოციქულებრივი და მოწამეობრივი მოღვაწეობა ქრისტიანული ცხოვრების უმთავრესი შინაარსი იყო. ზერელე მორწმუნეობისათვის იშნანად ნიადაგი არ არსებობდა, რადგან ტყუილ-უბრალოდ ხიფათში არავინ ჩაიგდებდა თავს, ხოლო ქრისტესადმი შედგომა უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული და თვინიერ დიდი სარწმუნოებისა, სათნოებისა და სიყვარულისა არავის ძალ-ედვა. ამიტომ ეკლესია თავისუფალი იყო ფსევდოქრისტიანობისაგან, ქრისტეს ქორწმუნეობით კრუ თავმოწონებისაგან. იგი წმიდათა (მართალთა) კრებულს წარმოადგენდა და მორწმუნენიც ერთმანეთს წმიდა მამებად და დედებად მოიხსენებდნენ (წოდებები — „წმიდა მამა“ და „წმიდა დედა“ — როდი ნიშნავდა მაინცდამაინც მათ შემონაზვნებას, „მამა“ ძველ ქართულში საკუთრივ მამის გარდა მამაკაცსაც ნიშნავდა, ხოლო „დედა“ — დედაკაცს). თითოეული ქრისტიანი სიწმიდით იყო გაბრწყინებული, რადგან ჭეშმარიტი სარწმუნოება სიწმიდის გარეშე წარმოუდგენელია, და ღვითი-ღვე ემატებოდნენ ეკლესიას ცხოვნებულნი (საქმე 2, 47).

ქრისტიანული ცხოვრება სულიწმიდის მადლით იყო განათლებული. ნიჭი სულისა უხვად იყო მოფენილი მორწმუნეთა შორის. ხოლო ნიჭი სულისა, წმიდა პავლე მოციქულის სიტყვით, არის „სიყვარული, სიხარული. მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება“ (გალ. 5. 22). ქრისტიანებს ეძლეოდათ ნიჭი საღმრთო საიდუმლოთა ჭვრეტისა, საკვირველთმოქმედებისა, კურნებისა... ამიტომაც ქრისტეს ეკლესიის პირველ საუკუნეებს ხანდახან **საყოველთაო მადლმოსილების ხანად (ხარიზმულ ხანად)** მოიხსენებენ.

საკვირველთმოქმედება და ცალკეულ ქრისტიანთა სიწმიდით გაბრწყინება მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა და სოფლის აღსასრულამდეც გაგრძელდება, მაგრამ საყოველთაო მადლმოსილება — პირველი საუკუნეების თავისებურებადაა მიჩნეული.

იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ქრისტიანობის ლეგალიზაცია და სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება მის სასწაულებრივ მოქცევასთანაა დაკავშირებული. მტრის მოძალების ჟამს, როდესაც სახელმწიფოს ბედი სასწორზე ეკიდა, იმპერატორმა ჯვრის გამოსახულება იხილა ზეცაში. ჯვარს გარკვევით ეწერა: „მაგით სძლევ“.

შეშინებულმა კონსტანტინემ დაამზადებინა ჯვარი ზეცაში ნანახის მიხედვით და ბრძოლაში წინ წაიმძღვარა.

მოხდა სასწაული. რომაელთა მხედრობაზე ბევრად უფრო ძლიერი მტერი მალე უკუიქცა და საშინლად დამარცხდა.

ზეციური შეწევნით განცვიფრებული იმპერატორი ქრისტიანული მოძღვრების შესწავლას შეუდგა. მან მოიწვია რომის ეპისკოპოსი ევსები და ნათელ-აღო. მასთან ერთად მოინათლა დედოფალი ელენე, აგრეთვე სხვა წარჩინებულნი.

კეთილმორწმუნე დედოფალმა თავისი ძის, კონსტანტინე იმპერატორის, თხოვნით მოიძია ცხოველმყოფელი ძელი, რომელზედაც მაცხოვარი იყო დამსჭვალული. მისი ბრძანებით გოლგოთაზე გაითხარა ის ადგილი, სადაც, გადმოცემის თანახმად, ქრისტე უნდა ყოფილიყო ჯვარცმული. როგორც სახარებიდან ვიცით, იქვე ჯვარს ეცვა ორი ავაზაკი. გოლგოთაზე მათი ჯვრებიც იყო საგულვებელი. მართლაც, გათხრის შედეგად იპოვეს სამი ჯვარი, რომლებიც ფორმით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ, და მათგან „ძელი ჭეშმარიტის“ (ქრისტეს ჯვრის) გამორჩევა შეუძლებელი იყო.

ღმერთმა სასწაულებრივად გამოაჩინა საუფლო ჯვარი. გამორჩევა იმით მოხერხდა, რომ მისმა შეხებამ სასწაული მოახდინა; მკვდრეთით აღადგინა დასამარხად გამზადებული მიცვალებული (საუფლო ჯვრის პოვნა დაწვრილებითაა აღწერილი თხზულებაში: „გამოჩინებაჲ ჯუარისაჲ, რომელი გამოუჩნდა კონსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა დანუბსა, რომლისა მიერცა მოიძია პატიოსანი ძელი ჯუარისაჲ წმიდასა ქალაქსა იერუსალემს“. (იხ. „სინური მრავალთავი 864 წლისა“, აკ. შანიძის რედაქციით, 1959 წ., გვ. 237-243).

რატომ დაწესდა **ჯვარის გამოჩინება და მისი ამაღლება** საუფლო დღესასწაულთა თანაბარ დღედ?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებით ახალი ერა დაიწყო ქრისტიანობის ისტორიაში. სამასწლიანი დევნისა და შევიწროების შემდეგ ქრისტიანული ეკლესია აყვავდა და ბრწყინვალეებით შეიმოსა. ქრისტესმიერი ნათლისღება მისაბაძ საქმედ, საყოველთაო ვალდებულებად გადაიქცა. ღმრთის ტაძრებმა სამეფო სასახლეებს დაუწყეს მეტოქეობა ფუფუნებითა და მშვენიერებით...

არსებობს თვალსაზრისი, თითქოს ამქვეყნიური კეთილდღეობის მოპოვებით ეკლესია გამიეთხოვა თავდაპირველ უბიწოებას; თითქოს სარწმუნოების საყოველთაოობამ და სავალდებულოდ გამოცხადებამ შებილწა ღმრთივ-რჩეული სამწყსოს პირველქმნილი სიწმიდე.

ასეთ თვალსაზრისს უმეტესწილად თანამედროვე სექტანტთა საუბრებში ვხვდებით, მაგრამ იგი არაპირდაპირი სახით გაცხადებულია პირველი საუკუნეების ეკლესიის ხარიზმული ხასიათის აქცენტირებასა და ამ ნიშნით ადრეულ ქრისტიანობასთან სახელმწიფო სარწმუნოების დაპირისპირებაში.

ჯვარის გამოჩინება, და ამ მოვლენის მოხსენებაზე დამყარებული ქრისტიანული დღესასწაული — **ჯვარის ამაღლება** (ძველ წყაროებში გვაქვს აგრეთვე ტერმინი — „ჯვარის აპყრობა“) შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს „ხარიზმული“ და „სახელმწიფო“ სარწმუნოების დაპირისპირების მოხსნად. ჯვრის ნიშის გამოცხადება და მისი სასწაულთმოქმედება საღმრთო განგებით იხილა იმპერატორმა კონსტანტინემ, რათა მისი მოქცევა მთელი იმპერიის მოქცევის საბაბი გამხდარიყო. კონსტანტინე ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ახალი ერის დამწყებად გვევლინება, და ამ ახალი ერის სულიერი რაობა შეუძლებელია მისი მოქცევის ხასიათთან არ იყოს დაკავშირებული.

ამა თუ იმ პიროვნების ქრისტიანობაზე მოქცევა, თავდაპირველად, როგორც ცნობილია მოციქულთა ქადაგებითა და სასწაულთმოქმედებით ხდებოდა. მოციქულთა მოწამებრივი აღსრულების შემდეგ ღმრთის სიტყვის მსახურებას შეუდგნენ მათი მოწაფენი და მოწაფეთა-მოწაფენი.

საგულისხმოა, რომ კონსტანტინე იმპერატორი, პავლე მოციქულის მსგავსად მოიქცა არა ვისიმე ქადაგებით, არამედ საღმრთო გამოცხადებით. როგორც ნეტარმა პავლემ, ასევე კონსტანტინემაც სამოციქულო მოღვაწეობის მითითება საღმრთო გამოცხადებით მიიღო.

როგორი უნდა ყოფილიყო იმპერატორის სამოციქულო მსახურება, თუ არა პირადი მაგალითი და ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებისათვის საიმპერატორო ძალაუფლების გამოყენება?

რასაკვირველია, ქრისტიანობის აყვავებისათვის ხელშეწყობა ერთია და ძალადობით მისი გავრცელება — მეორე. რამდენადაც მეორე მათგანი მიუღებელია, იმდენადვე პირველი — მისაღები და სასურველი. როდესაც უფალმა მეფე კონსტანტინეს ზეცაში გამოუჩინა ჯვრის ნიში, ხოლო დედოფალ ელენეს — „ძელი ჭეშმარიტი“ (გოლგოთაზე), ამით ისინი სამოციქულო ღვაწლისათვის აკურთხა. ამ ღვაწლის აღიარებაა ის, რომ კეთილმორწმუნე გვირგვინოსანთ წმ. ეკლესია „მოციქულთასწორის“ წოდებით იცნობს. წმიდა კონსტანტინემ თავისი მოციქულობა იმით გამოხატა, რომ პირველმა გამოაცხადა ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად. ჯვრის ნიშის სასწაულებრივი გამოცხადება მიგვითითებს, რომ ის, რაც იმპერატორმა აღასრულა, ღმრთივ-სათნო ღვაწლი ყოფილა; გვირგვინოსანი მეფე ღმრთის ნებას დაემორჩილა და საკუთარი სამეფო ქრისტეს მიართვა სამწყსოდ.

მადლი ეკლესიას საყოველთაო გავრცელების პირობებშიც არ დაუკარგავს. რასაკვირველია, ყოველი მოქალაქე თანაბარი სისრულით ვერ შეძლებს მის მიღებას, მაგრამ რამდენიმე მართალი და წრფელი ქრისტიანი სრულიად საკმარისია, რომ ეკლესია მადლმოსილად და სიწმიდის მატარებლად ჩაითვალოს. ეკლესია მუდამ ხარიზმული იყო, დღესაც ხარიზმულია და ასე იქნება „ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ამენ“ (მათე 28, 20).

●

კონსტანტინე იმპერატორისადმი ჯვრის მიერ გამოცხადებული **ძლევა** — მისი საღმრთო ძლიერების მომასწავებელია.

ნიში პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა — ძლევის მომტანია ყოველი მორწმუნისათვის. ამიტომაც მისი თაყვანისცემა, მისი წმიდა დღესასწაულისადმი ჯეროვანი პატივის მიგება თითოეულ ჩვენგანს მართებს. **ჯვარის გამოჩინება,** წმ. კოსმა მაიუმელის სიტყვით, მოხდა იმისათვის, „რაჲთამცა ჭეშმარიტად აუწყა ყოველთა კაცთა, ვითარმედ ჯერ-არს თაყუანისცემა ძელსა ჯუარისასა“. საღმრთო დღესასწაულებთან ჯვარის აპყრობის გათანაბრება კი იმას მიგვანიშნებს, რომ ქრისტეს ეკლესია საუკუნოდ დაიცავს მადლმოსილებასა და უბიწოებას. ეკლესიის საშუალებით კეთილმორწმუნენი საღმრთო მადლის თანაზიარნი შეიქმნებიან.

ჯვარის გამოსახვით მოვიხსენებთ უფლის საცხოვრებელ ვნებებს; ჯვარით განვდევნით ყოველ უწმინდურსა და ბოროტ სულს; ჯვარი — მართლმორწმუნეთა საჭურველია ბრძოლისა და განსაცდელის ჟამს.

ჯვარის ტვირთვა — ქრისტეს გზაზე შედგომაა.

ჯვარის დათმენა — უმოკლესი გზაა ცხოვრებისაკენ.

ჯვარი ქრისტესი — მშვიდობის საჭურველია.

ქრისტეს მიმდევართ სხვაგვარი საჭურველი არ სჭირდებათ. ქრისტე **მშვიდობით ძლევას** გვასწავლის და არა ომით.

ომი უძულურია საღმრთო მშვიდობის წინაშე.

ეპ. ძლოველი.

ქართველ გვარდიელებს

ალბათ, ყველა თქვენგანს უფიქრია ადამიანის უცნაურ ბუნებაზე. საზოგადოებისაგან იზოლაცია ადამიანისთვის ყველაზე დიდ სასჯელად ითვლება. ამავე დროს კი მთელი კაცობრიობის ისტორია სწორედ საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების დაპირისპირების ისტორიაა. მეტად თუ ნაკლებად ყველა ჩვენგანს უწევს ძალისხმევა, რომ მისი პირადი ინტერესი ჰარმონიაში მოვიდეს იმ საზოგადოების ინტერესებთან, რომელშიც უხდება ცხოვრება.

ხანგრძლივი დროის მანძილზე, ადამიანური ბუნების ზუსტი ცოდნის საფუძველზე საზოგადოება იმუშავებს ქცევის ზოგად ნორმებს, რათა მაქსიმალურად უმტკივნეულო გახადოს პროცესები, რომელიც წარმოიქმნება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების დაპირისპირების დროს. შეიყვარე მოყვასი შენი, შეიყვარე მტერი შენი, აქ ყველაზე დახვეწილი, ყველაზე ოპტიმალური ფორმულაა მოძებნილი ადამიანის ქცევის უმაღლესი ნორმისა, რომელიც ყოფაში ძნელად ორიენტდება, მაგრამ წარმოადგენს იმ ორიენტირს, საითაც უნდა ესწრაფოდეს ადამიანი. ეს ფორმულა საზოგადოების შიგნით დაპირისპირებულ პიროვნებათა ქცევის ფორმას არეგულირებს.

მაგრამ სახელმწიფოს ცხოვრებას უფრო რთული მოწყობა და ისტორია აქვს, ვიდრე პიროვნების ცხოვრებას. საზოგადოების შიგნით განუწყვეტლივ ებრძვის ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესები — პიროვნული, საზოგადოებრივი, რელიგიური, სოციალური და სხვ... ამიტომ მთელი კაცობრიობის ისტორია გახლავთ მმართველობის ისეთი ოპტიმალური ფორმის ძიება, სადაც მაქსიმალურად იქნება გაუვნებელყოფილი ამ დაპირისპირებათა სიმწვავე. დღესდღეობით ამგვარ ყველაზე დახვეწილ ფორმად სახელმწიფო მმართველობისა დემოკრატიული მმართველობაა მიჩნეული. იგი ეფუძნება უმრავლესობისათვის აქტუალური ინტერესის გათვალისწინებას და მის განხორციელებას. დასავლურ დემოკრატიას ამგვარ ყველაზე აქტუალურ ინტერესად ერძო საკუთრების ხელშეუხებლობა ედება საფუძვლად. ეს ის ქვაკუთხედი გახლავთ, რომლის გარშემო იწყება ურთულესი დემოკრატიული სისტემის აგება, სადაც ყველა მოქმედი კანონი, თვით კანონი ადამიანის პიროვნული თავისუფლების შესახებ, აუცილებლად ითვალისწინებს საზოგადოების ძირითადი ინტერესებისათვის ანგარიშგაწევას.

ჩვენს შემთხვევაში, ალბათ, რაღაც ხნით მაინც, ყველაზე აქტუალური ინტერესი, რომელიც საფუძვლად დაედება სახელმწიფო მმართველობის ორგანიზებას, იქნება ეროვნული ინტერესი, იმიტომ, რომ დღეს სწორედ ეს არის ჩვენი საზოგადოების ყველაზე მტკივნეული პრობლემა და მთელი სისტემის აგება სწორედ ამ ქვაკუთხედის გარშემო დაიწყება. მოგვიანებით, როცა პრობლემა ამოწურავს თავის თავს, ქვეყანა რეალურად დადგება ფეხზე, ჩვენც დასავლური ტიპის ინტერესებს გავიზიარებთ და სახელმწიფოს ორგანიზაციული სისტემაც ამ ინტერესს დაექვემდებარება.

კაცობრიობას უზარმაზარი გამოცდილება აქვს იმისა, თუ რა ძნელია პიროვნული ვნებების და ინტერესების ისე წარმართვა, რომ მან რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენოს საზოგადოების ერთობლივ ინტერესებს და ეს ცოდნა სხვადასხვა კანონების შექმნას და შემუშავებას ედება საფუძვლად. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოს, თვით ისეთი სასტიკი წესიც კი, როგორიც სისხლის აღებაა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების დაცვას ემსახურება პიროვნული ინტერესისაგან. საქმე ის გახლავთ, რომ როცა პიროვნებამ იცის, რომ მის მიერ ჩადენილი მკვლელობისთვის ფვითონ ის კი არ აგებს პასუხს, არამედ რომელიმე მისი ახლობელი, ნათესავი, მისი გვარის წარმომადგენელი, ის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იღებს ხელში იარაღს, რამეთუ იცის, რომ კლავს არა მხოლოდ მტერს, არამედ თავის მოყვარესაც. თავის ახლობელს. ამ კოდნას ედება საფუძვლად გამოცდილება, რომ იქითა მხარე აუცილებლად იძიებს შურს და ამ მკვლელობას სხვათა სიცოცხლეც შეეწირება. ეს წესი რომ არ ყოფილიყო, დახურულ, პატარა სოციუმებში, ადამიანები თვითგანადგურებამდე მიიყვანდნენ თავს.

მართალია, ერთი შეხედვით ჩანს, რომ საზოგადოებრივი ინტერესი ოდაც განყენებული, უაზრო, აგრესიული ინტერესია, მაგრამ სინამდვილეში ის ერთადერთი გარანტიაა იმისა, რომ პიროვნებას მაქსიმალურად მშვიდობიანი არსებობა შეექმნას, დაცული იქნეს ყველაზე მთავარი პიროვნული ინტერესი თავისუფალი განვითარებისა.

ალბა ხშირად ისმის სიტყვები „ანარქია“, „კატასტროფა“, „განუკითხაობა“. გაუფასურდა კიდეც ისინი... მაგრამ „გვარდიელებო“, თქვენ, ყოველივე ამის რეალურ საშიშროებას ქმნით, როცა უშვებთ, რომ საზოგადოებას იარაღით მოახვიოთ თავს თქვენი ნება. რა გარანტია გაქვთ, რომ ხვალ სხვა ჯგუფი შეიარაღებული ადამიანებისა არ ეცდება, ასევე იმოქმედოს თქვენს წინააღმდეგ? ვიცი, რასაც იტყვით, — გაუმკლავდებით! რას მოიტანს ეს? ეს მოიტანს იმას, რომ არ დაილევა ამ უმეტეს საქართველოში, სადაც ყველას თავი ყველაზე მართალი და ჭკვიანი ჰგონია) სისხლისღვრა, შეტაკება. მსხვერპლი, უბედურება. ასე ხომ თვითგანადგურებამდე მივალთ ქართველები, ვის დემოკრატიულ ინტერესებსაც იცავთ დღეს, გვარდიელებო. ამიტომ არ უნდა იყოს დაშვებული იმის პრეცედენტი, რომ კაცმა, რომელიც ერის სახელით იკიდებს მხარზე იარაღს, თავისი ან ერთი რომელიმე ჯგუფის სიმართლის დასამკვიდრებლად გამოიყენოს იგი საზოგადოების წინააღმდეგ. აქ იმაზე არ არის ლაპარაკი, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვინ უფრო მართალია, თქვენ თუ საზოგადოება. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თქვენ უყრით საფუძველს თანაარსებობის მშვიდობიანი წესების დარღვევას, - რაც ქაოსს გამოიწვევს. თუ ამ გზას გავყვებით, კონკრეტული სიმართლისათვის მებრძოლი პატარ-პატარა ჯგუფები არ დაილევა.

ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის არსებობს წესი, კანონი, კონსტიტუცია, დემოკრატია. ჩვენ (საზო-

(გაგრძელება მე-3 გვ.)

„კალაშნიკოვიანი“ დემოკრატია

25 სექტემბერს ღამით თბილისში მოხდა პირველი სისხლიანი ტრაგედია. დიდუბის რაიონის თელასის აღების დროს მოკლეს 5 ქართველი. მანამდე 37 წლის ექიმმა გია აბესაძემ საჯაროდ დაიწვა თავი. კიდევ უფრო ადრე თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე გვარდიის ოფიცერმა ლაშა წერეთელმა. ეს გუშინ... რა იქნება ხვალ, ზეგ... კიდევ რამდენი სისხლი დაიღვრება, რამდენი სიცოცხლე შეწყდება, თბილისის ქუჩებში „კალაშნიკოვიანი დემოკრატია“ დაბიჯებს, ამ „დემოკრატიის“ მამა, კრემლს ამოფარებული პირსისხლიანი ედუარდი ტელეეკრანებიდან გვმოძღვრავს, სანამ საქართველოში დემოკრატია არ გაიმარჯვებს, წესრიგი არ დამყარდებაო! სახაროვის ქვრივი ღელავს, გამსახურდია რუსეთის იმპერიას ამიერკავკასიას დაიკარგვინებსო, ბუში საქართველოდან უხმობს ჟურნალისტებს, „ჯორჯიაში“ ომი იწყება და გაეცალეთ მაქაურობასო. აქ კი, ედუარდის „მომხიბლავი“ ღიმილით და დაპირებებით დაბანგული ინტელიგენცია, ავტომატმომარჯვებული, უბადღებული დემოკრატიისათვის იბრძვის. საქართველოს კი თავისუფლება უნდა, საქართველო იბრძოლებს თავისი მომავლისათვის. იგი ერთიანია, შეკრულია და მზადაა დაიცვას ის, რაც სიმწრით მოიპოვა. ეს ასეა და ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ საზოგადოება, ხალხი, შუაზეა გახლეჩილი, რომ მოსალოდნელია სამოქალაქო ომი! არა, ბატონებო! ქართველი კი არ კლავს ქართველს, როგორც თქვენ, იარაღასხმულ საბჭოთა ინტელიგენციას გინდათ დაარწმუნოთ მსოფლიო, არამედ, თუ არ შეჩერდით, ქართველი საქართველოს თავისუფლებისათვის მოკვდება და ეს იქნება არა სამოქალაქო ომი, რაზეც უკვე დიდი ხანია ოცნებობთ, არამედ ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის!

ყოველთვის, როდესაც ქართველი თავის ნებას გამოხატავდა, მტერი იარაღით უპირისპირდებოდა მას. ასე იყო 1989 წელსაც, მაშინ ერის „ინტელექტუალური“ ნაწილი გაჩკიოდა, მთავრობის სახლთან მჯდომარე ახალგაზრდებს თუ ერთი ბეწვი ჩამოვარდებათ თავიდან, გამსახურდია აგებსო პასუხს, ეი, აქედან დაიწყო მათი „მოღვაწეობა“, ხოლო როდესაც ზვიად გამსახურდიამ „იმელის“ შეიობასთან ატეხილი სროლის გამო დატოვა ფორუმი (განაცხადა, რომ ეროვნული მოძრაობის არც ერთ მონაწილეს იარაღი არ უნდა ჰქონდეს ჯიბეში), ამ ფორუმში შეცვივდნენ ჩვენი „საამაყო ინტელიგენტები“ და ზვიად გამსახურდია ეროვნული მოძრაობის მტრად გამოაცხადეს. გადის დრო და ედუარდის მექანიზმი იწყებს მუშაობას: ბატონი აკაკი ბაქრაძე ხალხის რწმენის გატეხვისათვის ზრუნავს, ანალიზს უკეთებს მოვლენებს და მისთვის ჩვეული „რკინის ლოგიკით“ გვარწმუნებს, რომ მალე ყველაფერი დაიღუპება, იქნება ორხელისუფლებიანობა, ქვეყანას ქაოსი მოიცავს, ატყდება სასტიკი ომი ქართველთა შორის; ელდარ შენგელაია და ლანა ღოღობერიძე „ეროვნული გმირების“ სამოსელში მოევლინენ ხალხს, არიქა, დაგვაფასეთ, მთელს მსოფლიოს ვაუწყეთ 9 აპრილიო, ძალიან მალე კი მიტინგები ჩაატარეს, ქრისტიანები არა ხართ, ხალხნო, რას ერჩით თურქ მესხებს, შემოვუშვათ და აქ დავასახლოთო, რეზო ჩხეიძე კი ესპანეთში დაგრიალებს, იღებს ყოვლად უნიჭო ფილმს და ვითომ ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის, გაზეთ „ქართულ ფილმს“ აარსებს, რომლის ერთადერთი მიზანი ზვიად გამსახურდიას განქიქებაა, და კიდევ ვინ მოთვლის მათ „საგმირო საქმეებს“, შესაშურია მათი გმირული შემართება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული. ახლა მოგმართავთ თქვენ, ბატონო ელდარ, ქალბატონო ლანა, ბატონო რეზო, ბატონო ვახუშტი, ბატონო ნოდარ! (ლომოური) მივმართავ აგრეთვე კობა იმედაშვილს, „ვახტანგ როდონაიას, მანანა გიგიხაშვილს და სხვათა და სხვათა, ერთ ხორც და ერთ სულ შეკრულთ! ეს თქვენ არ იყავით, წლების განმავლობაში ყველა მართალ, ძნელ საქმეს რომ დუმილით ხვდებოდით? ტაშს თუ არ უკრავდით, ბოროტებასაც არასოდეს ებრძოდით. თქვენ არ იყავით ედუარდის ერთი თითის დაქნევით 4 ახალგაზრდა სასიკვდილოდ რომ გაიმეტეთ? თქვენ არ იყავით ქაქუცა ჩოლოყაშვილს უაჩაღად რომ აცხადებდით? ბატონო ჯანსულ! თქვენ არ იყავით ძლიერთა ამა ქვეყნისათა ღრეობებისა და დროსტარების მუდმივი დირიჟორი, მათი შეუცვლელი თამადა, განა მათი კულუარები არ იყო თქვენი ენამახვილობის ასპარეზი? მოგმართავთ, ყველას, ყველას, ვინც ავტომატმომარჯვებულნი „გვერდში უდგეხართ ყოფილ სარდალსა და ყოფილ პრემიერს, თქვენ, ვინც დემოკრატიის სახელით ებრძვით დემოკრატიას, ებრძვით თქვენს ერს, რომლის წიაღშიც, სამწუხაროდ, იშვით, რატომ წინ არ იხედებით, რატომ არ გეშინიათ ხალხის რისხვის, რას ელით იმის სანაცვლოდ, რაც დათმეთ! რაც უარყავით! მომავალი არ გაპატიებთ, თქვენი სახელები შავ ლაქებად დაიჩნდება ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ძრწოდეთ ბატონებო, განკითხვის ჟამი გიახლოვდებათ!

ნანა დოლიძე

დასასრული

გადოება) ვთანხმდებით, რომ ვაწყობთ არჩევნებს, ეს არჩევნები გადაწყვეტს, ვინ მართავს ჩვენს ქვეყანას, ვის ვანდობთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკანონმდებლო საფუძვლის შექმნას. თუ ამ გზას ვირჩევთ, ამ გზას უნდა დავადგეთ და იმ წესს დავექვემდებაროთ, რომელიც ამგვარ არჩევანს მოყვება. არსებობს სხვა გზაც — რევოლუციური, ის ყოველთვის უსიმპათიოა, რადგან ძალადობას ნიშნავს. მოგვწონს თუ არ მოგვწონს დემოკრატია, რომელიც ხალხის მმართველობასა თუ უმრავლესობის ნების თანახმად მმართველობას ნიშნავს, უნდა დავემორჩილოთ მას და ათ თვეში არავისა აქვს უფლება, იმისა, რომ შეწყვიტოს პროცესი, რომელსაც იმედით უცქერის უმრავლესობა. იმიტომ, რომ ისევ ვიმეორებ, თქვენ თუ ძალით დაამკვიდრებთ დღეს თქვენს ნებას, ვერავინ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ სამ თვეში ახალი შეიარაღებული ჯგუფი არ მოინდომებს ასევე ძალით, თავისი ნების თქვენთვის თავს მოხვევას.

იმ კანონების საფუძველზე, რომელიც მთელ მსოფლიოში მოქმედებს, მეომარს არა აქვს უფლება გატეხოს ფიცი. ეს კანონი იმ ფსიქოლოგიური გამოცდილების გათვალისწინებით არის შექმნილი, რომ რატომღაც იარაღასხმულ კაცს თავი უფრო მართალი ჰგონია, ვიდრე უიარაღო. მარტივად არის საქმე — „ძალა შემწევს ქადილისა“! არსებობს საფრთხე, რომ მეომარი, რომელიც ადამიანია, ჩვეულებრივი ადამიანი, თავისი ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამოიყენებს ამ იარაღს. **ამიტომ ერი, ხაზოგადოება, რომელიც მას (მეომარს) თავისი (ხაზოგადოების, ერის) ინტერესების დასაცავად აძლევს იარაღს, მისგან იღებს ფიცს, რომ მეომარი არავითარ შემთხვევაში არ აყენებს ხისუტტეს, ცდუნებას და არახოდეს გამოიყენებს იარაღს ხაზოგადოების წინააღმდეგ. ეს ფიცი ხდება გარანტი იმისა, რომ მეომარი არის ერის ხინდისი, მისი პატიოსნება, მისი ძირითადი, ყველაზე აქტუალური ინტერესის გამომხატველი და დამცველი.** ამიტომ უყვართ ყველა ქვეყანაში მეომრები. ამიტომ არის საამაყო მეომრობა. ამიტომ არის, რომ ყველა ნორმალურ საზოგადოებაში, წარჩინებული ოჯახები, თავის უფროს ვაჟს (ტრადიციულად საუკეთესოს) სამხედრო სასწავლებლებში ზრდიან. კარგ ქვეყანაში არ არსებობს უფრო საპატიო მოვალეობა, ვიდრე შენს სიტყვას (ფიცს) მინდობილი საზოგადოების დაცვა. საქართველოში ამაზე დიდი საქმე არასოდეს ყოფილა. ჩვენი ქვეყანა ჩვენი მეომრების ვაჟკაცობამ მოიყვანა აქამდე. თქვენ იგივე მეომრები ხართ... ფიცი გაქვთ საქართველოსათვის მიცემული, გვარდიელებო!

თამარ ეგრალიძე

ე. წ. **„ოპოზიციის“** ბოლოდროინდელ, განსაკუთრებით კი 20 სექტემბრის შემდგომ მიტინგებზე პრეზიდენტის გადადგომის, პარლამენტის დაშლისა და ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნებს მუდამ უმშვენებს მხარს მოთხოვნა ნებისმიერი დაჯგუფებისათვის სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ. საქმეში ჩაუნედავი ადამიანის წინაშე უმალ წარმოსდგება დაუნდობელი და სისხლიანი ტირანიის მიერ ჩაგრული, მიუსაფარი. ყოველგვარ უფლებებს მოკლებული ოპოზიცია და ვინმე უცოდინარს თვალთა უპეთაგან ეგეგ ცრემლის წვეთიც კი გადმოვარდეს. ზემოხენებულ მიტინგებზე გამოსვლებში, განსაკუთრებით კი ყოფილ პრემიერ-მინისტრის მიერ იმპერიული რეჟიმის რუპორ „ვრემია“-ში „იატაკქვეშეთიდგან“ ნატყორცნ სიტყვაში იმასაც კი გაესვა ხაზი, რომ რესპუბლიკის ოფიციალური პრესა 19-21 აგვისტოს „პუტჩისტებს ემსახურებოდა, ბეჭდავდა რა ე. წ. „ГКЧП“-ს მიერ მიღებულ დოკუმენტებსა და ბრძანებებს. მოგეხსენებათ, ბრალდება (მეტადრე, ესოდენ სერიოზული) მტკიცების გარეშე ცილისწამებად იქცევა და ამ კონკრეტულ ბრალდებასაც ამგვარი სუნი უდის! უფრო მეტიც, როდესაც ყოველივე ამას მტრის გასაგონად ამბობ, ეს შენი ქვეყნის დასმენის, მესამე ძალის „მოპატიჟეების“ ელფერსაც იძენს.

ახლა კვლავ სიტყვის თავისუფლების პრობლემას დავუბრუნდეთ.

ამ მცირე წერილში არ შევუდგებით მიმოხილვას იმ მრავალრიცხოვანი არაოფიციალური „ოპოზიციური“ გამოცემებისა, რომლებსაც მრავლად შეხვდებით თბილისსა და არა მარტო თბილისის ქუჩებში საჩელდახელოდ მოწყობილ დახლებზე და რომლებსაც, გასაღების სრული თავისუფლებიდან გამომდინარე, ვერ ვუწოდებთ არალეგალურს. მკითხველებს იმასაც შევახსენებთ, რომ პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ მოქმედი კანონი პარტიების დადგენილი წესით რეგისტრაციის შემთხვევაში მათ საგამომცემლო საქმიანობის სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

ამჯერად ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ იმ ოფიციალურ გამოცემებთან, რომელნიც ქაღალდზე და არა რეალურად თავისუფალნი, ან საპარლამენტო ოპოზიციას დაქვემდებარებულნი არიან. საკმარისია, დავასახელოთ: „დრონი“, „დედამიწა“, „საქართველო“, „განათლება“, „საქმე“ და სხვ.

რად ღირს თუნდაც გაზ. „დრონი“, 12 გვერდიანი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამომავალი „დამოუკიდებელი“ ყოველკვირეული გაზეთი (რედაქტორი ბ-ნი ა. გოგელია), რომელიც თურმე „ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს“. გაზეთის 24-ე ნომერში (ა. წ. 28 ივნისი) კითხულობთ: „დრონი“ **შეეცდება** იყოს არა პოლიტიკური ბარიკადის რომელიმე მხარეს, არამედ ჩვენში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ობიექტური, მიუკერძოებელი (!) ამსახველი და შეძლებისდაგვარად, ანალიტიკოსისეც; **შეეცდება** პოლიტიკური ვნებანი არასოდეს იქცეს მის პუბლიკაციებში ერთმანეთის უპატივცემულობის, ლანძღვა-გინების, ამაო ანგარიშსწორებისა და თავხედური ნიშნისმოგების ნაკადად (!); „დრონი“ **შეეცდება** დაამტკიცოს, რომ ნებისმიერი მისაღები თუ მიუღებელი პოლიტიკური კონცეფცია შეიძლება ცივილიზებული საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი ნორმებითა და ფორმით გადმოიცეს“. შესანიშნავი იდეებია, მაგრამ რედაქცია შეუფარავად გვაუწყებს, რომ „შეეცდება.“ თუ ხელისშემშელი რამ არ გაჩნდა მათ გზაზე. გვაუწყებს და პირნათლად ასრულებს. „დრონი“-ს თითქმის ყოველ შემდგომ ნომერში ძალუმად იგრძნობა „თუ“-ს ხელი, რამაც რედაქცია, რომელიც „არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს“, უმალ მოაქცია ერთი გარკვეული პოლიტიკური ძალის — ე. წ. „ეროვნული კონგრესის“ იდეოლოგიური წნეხის ქვეშ. ამ ტენდენციამ მკრთალად, მაგრამ მაინც იჩინა თავი იმავე 24-ე ნომერში, ბ-ნ თეიმურაზ ქორიძის წერილში. ავტორი უმორჩილესად გვთხოვს ეროვნული ძალების გამარჯვებას საქართველოში ნუ ვუწოდებთ „უსისხლო რევოლუციას“ და შემდეგნაირად ხსნის თავისი აზრის სისწორეს: „ნებისმიერი რევოლუციის შემდეგ იწყება ძველი სტრუქტურების მსხვრევა, რასაც მოჰყვება ხოლმე გულგრილი დამოკიდებულება ადამიანის ბედისადმი. ზოგი უდანაშაულო ნაგრევებში მოჰყვება და გაიჭყლიტება, ზოგი უსამართლოდ აღზევდება... მოკლედ, ნებისმიერ რევოლუციას მოსდევს ზნეობის დაცემა.

თვალს ნუ დავხუჭავთ — საქართველოშიც ასე მოხდა“. „ლოიკავ, სად ხარ?“ ავტორი ვერ გამოსულა სოციალური რევოლუციის მარქსისტული ფორმულირების გავლენიდან. უსისხლო, დემოკრატიული რევოლუციის ცნება კი თვალნათლივ გულისხმობს მის მშვიდობიან ხასიათს.

„კონგრესის“ მრწამსის ერთგულებას ერთმანეთს ეცილება „ეროვნის თითქმის ყველა მომდევნო ნომერი, კერძოდ. „ერთმანეთის უპატივცემულობის,- ლანძღვა-გინების, ამაო ანგარიშსწორებისა და თავხედური ნიშნისმოგების“ უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს გაზეთის 36-ე ნომერი (ა. წ. 20 სექტემბერი), რომლის 19 პუბლიკაციიდან 14 აღსავსეა საქართველოს ეროვნული პარლამენტისა და პრეზიდენტისადმი უსაზღვრო ღვარძლითა და ანტიპატიით.

ბ-ნ ვ. ყვავილაშვილის წერილს, რომელიც უზენაესი საბჭოს სესიაზე წარმოსათქმელ სიტყვად ყოფილა მომზადებული, აშკარად ეტყობა რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბ-ნ თ. სიგუას ზეგავლენა.

ავტორი ანტიდემოკრატიულად აცხადებს „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის I თავის IV მუხლს, რომელშიც ვკითხულობთ: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ: ...ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება“. პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ურთიერთში ურევს „სახელმწიფო წყობილებისა“ და „ხელისუფლების“ ცნებებს. გარდა ამისა, მას ავიწყდება, რომ ამ რვა ათეული წლის წინ ტვინგახვევებულ თვისტომთა მიერ ჩადენილ საუკუნის მკვლელობას სწორედ პერიოდული პრესის პუბლიკაციებმა მოუმზადა ნოყიერი ნიადაგი.

ავატორი რიგ სხვა ბრალდებებთან ერთად „სხვა სახელმწიფოებში ჩვენს შესახებ არსებული აზრის“ სრულ უგულებელყოფას საყვედურობს ხელისუფლებასა და პრეზიდენტს, იმას კი არ უწევს ანგარიშს, რომ ამგვარი უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებაში ლომის წილი უძევთ რადიო „თავისუფლებისა“ და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ქართველ (კონგრესმენ) ინფორმატორებს, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომელთა ნათქვამს: „თუ საქართველო თავის ლიდერად აირჩევს გამსახურდიას, მე წავალ ჩემი ერის წინააღმდეგ“, ჩვენი ქვეყნის ავისმოსურნენი ეგზომ საგულდაგულოდ იხვევენ თითზე!

რად ღირს ლ. ჩახუნაშვილის რეპორტაჟში მოყვანილი სიტყვები:

„...კომუნისტური რეჟიმი სწორედ ახლაა ზენიტში საქართველოში, ვინაიდან კომუნისტობა ფრაზეოლოგია კი არა, აზროვნების წესი და ფორმაა. ხოლო მე როგორი მხარდამჭერი ვარ კომუნისტებისა, ალბათ, მოგეხსენებათ: მათ გამოწყვიტეს, ვინც კი მყავდა“ (ვ. კოტეტიშვილი).

„ღვთის რისხვაა სწორედ, რომ სიტყვა „თავისუფლების“ შემოქმედ ქართველ კაცს დღეს აღარა აქვს სურვილი, იყოს საკუთარი თავის უფალი, თავისივე თავის გამრიგე. პიროვნების თავისუფლებას მონად ყოფნა ანაცვალა ქართველთა დიდმა ნაწილმა“ (მ. გიგინეიშვილი).

„ის, რაც საქართველოში ბოლო თვეების მანძილზე ხდებოდა, ეროვნული იდეის პროფანაცია იყო და სხვა არაფერი“ (ლ. თაბუკაშვილი).

ახლა კი ქართული ინტელიგენციის ხმა „სახელოვან“ წარმომადგენლებს მოვუსმინოთ:

„ბატონი პრეზიდენტი და მისი მეზობლები პოზიციების გასამაგრებლად ხშირად კონსტიტუციას იშველიებენ. იმ კონსტიტუციას, რომელსაც, სამწუხაროდ, ასე უმოწყალოდ არღვევენ თვითონ!“ (გ. ფანჯიკიძე).

„როგორც უნდა ვატრიალოთ, პასუხი ერთია: ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილება იმ დონემდე ავიდა, როცა აფეთქებისათვის მხოლოდ დეტონატორი იყო საჭირო.

ხელისუფლებამ თავად ჩართო იგი!

ვიღაცამ გამოიგონა პრინციპი: ჯერ დამოუკიდებლობა და შემდეგ დემოკრატია! მტკიცებას არ შევუდგები, — ამ გზით დემოკრატია არსად განხორციელებულა მეთქი. იქნება, კიდეც იყო სადმე ასეთი მაგალითი — არ ვიცი! ის კი ვიცი, რომ ამგვარი დაპირება, ძირითადად, სისხლიანი დიქტატურით მთავრდება“ (ვ. ამირეჯიბი).

„უჩვეულოდ დაწყებული სესია თხუთმეტ სექტემბერსვე ჩვეულებრივად (ესე იგი პრეზიდენტისათვის სასიამოვნოდ) დამთავრდა, მაგრამ მეორე დღეს რესპუბლიკის მოედანზე ორმოცი ათასი (?!) კაცი ერთხმად რომ ღაღადებდა: ძირს დიქტატურა, ძირს პრეზიდენტიო, საბოლოდ ვირწმუნე მრგვალი მაგიდის ეიფორიული მმართველობის სავალალო დასასრული“ (რ. მიშველაძე).

თანამოკალმეთ არც ქ-ნი რ. ბერიძე ჩამორჩენია, რომელმაც უყოყმანოდ, კატეგორიულად განაცხადა, რომ სულმხათი შერაბ კოსტავა აუცილებლად ოპოზიციის ბანაკში იქნებოდა. ქ-ნ რუსუდანის აზრით ერის 87%-ის ნება თურმე „ფარისევლური პანეგირიკების ნიაღვარი“ ყოფილა.

თავისუფლების ჰეშმარიტი შემცნობნი, „საღი აზრის“ მატარებელნი კი ისინი ყოფილან, ვინც არ დაერიდა მსოფლიოს წინაშე საქართველოს გათახსირებას, ვინც განსხვავებული აზრის გამო წინღებითა და მუშტი-კრივით გაუმასპინძლდა მანდილოსნებსა და ბავშვებს, ვინც „არმატურა“, ქვა-ღორღი და მომწამლავი გაზებიც კი არ დაიშურა თვისტომთათვის... რამდენი ერთი ჩამოთვალოთ?!

ხსენებული ჰეშმარიტად საბრალმდებლო ნომრის ზედმიწევნით გაცნობა ეჭვებს ბადებს, რომ მისი გამოცემა შემთხვევით არ დამთხვეგია ტელევიზიის ბლოკირებასა და მთავრობის სასახლეში შეჭრის მცდელობას. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე!

აქვე არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვა გაზ. „განათლებაზე“ (რედაქტორის მ. შ. ბ-ნი ა. ბუთურიშვილი), რომელიც თითქმის პირველდელი სახელწოდებით ქვლავ განათლების სამინისტროს დაექვემდებარა. გული სიხარულით ამევსო ვიფიქრე, ოდნავ მაინც ეშველება ჩვენს გაუბედურებულ სახალხო განათლებას მეთქი. მაგრამ, ამაოდ. გაზეთის სამივე ნომერი, მიუხედავად განათლების სისტემის სრული დეპარტიზაცია-დეპოლიტიზაციისა, აშკარად პოლიტიზირებულია და გაჟღენთილია პარლამენტისა და პრეზიდენტისადმი სიძულვილით. ყოველივე ეს კი, არა მგონია, ხელს უწყობდეს მომავალ თაობათა უკომპლექსოდ, ზნეობრივად აღზრდას. საერთოდ გაზეთი „განათლება“ განათლების საქმეს უნდა ემსახურებოდეს!

ჩვენთვის ასევე ყოვლად გაუგებარია მწვანეთა მოძრაობის გაზეთის „დედამიწის“ დანიშნულება (ამგვარი გაზეთის დანიშნულება კარგად მოგვეხსენება, მაგრამ კონკრეტულად „დედამიწის“ შინაარსი სრულ გაუგებრობას იწვევს მკითხველებში). ხომ არ აჯობებდა ჩვენი გაუბედურებული ბუნებისათვის მიეზიდათ მის მესვეურებს და გარიდებოდნენ პოლიტიკას, პარლამენტისა და პრეზიდენტის ზღვარდაუდებელ ლანძღვას?! ვგონებ, ამ გაზეთს აქვს მკვეთრად გამოხატული კონკრეტული დანიშნულება და ფუნქცია.

სავალალოა ის, რომ ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი თავისუფლების იმ ნაბატარ დღეს, ისტორიული შანსის, სანუკვარი მიზნის განხორციელებას ესოდენ მოუმზადებელი და უმწიფარი შეხვდა. მათ მიერ მამულის, თვისტომთა, მშობლებისადმი და ურთიერთისადმი სიყვარული ვერ გასცდენია ლამაზ სადღეგრძელოებს.

დასასრულ, თავს უფლებას მივცემ და მავანთ შევახსენებ ცივილიზებულ სამყაროში აქსიომად ქცეულ ფრაზას: დემოკრატია არ გალავთ ანარქია!

ლ. უ.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის 1944 წლის ტრაგედია
და
ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

1944 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში დატრიალდა ტრაგედია, რომელიც ორმოცდაექვსი წლის მანძილზე ყოველმხრივ იყო მიჩქმალული საბჭოთა იმპერიული რეჟიმის მიერ.

აღნიშნული წლის 23 თებერვალს — წითელი არმიის დღეს — საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით ჩადენილ იქნა გაუგონარი დანაშაული: მოწყობილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ერთა მიზანდასახული გენოციდი, რამაც ვინ იცის მერამდენეგზის დაადასტურა რუსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ველიკორუსული, ერთა მოძულეობით გაჟღენთილი სულისკვეთება. ხსენებულ დღეს 24 საათის მანძილზე მშობლიური მიწა-წყლიდან აჰყარეს ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ბალყარეთის აბორიგენი მოსახლეობა — მილიონზე მეტი ადამიანი და შუა აზიისა თუ ციმბირისაკენ წაასხეს ისინი. ათეულობით ათასი ვაინახი და ბალყარელი ადგილზევე გამოასალმეს სიცოცხლეს. გაუქმეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა. დაცლილ ტერიტორიებზე მასობრივად ჩამოასახლეს კაზაკები, ცენტრალური რუსეთიდან გადმოყვანილი გლეხობა. ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მოზრდილი ხაწილი სწორედ იმ ხანებში გადაეცა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ს.

ეს დანაშაული ჩადენილ იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და თავდაცვის საბჭოს ეროვნებათა საქმეთა კომიტეტის 1943 წლის 11 თებერვლის დეკრეტის საფუძველზე, დეკრეტისა, რომელსაც ხელს აწერენ სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი და სხვა კომუნისტი ჯალათები. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ხსენებული დეკრეტი ოფიციალურად გამოქვეყნდა მხოლოდ 1947 წლის 25 ივნისს, ე. ი. გენოციდიდან ორნახევარი წლის შემდეგ. დეკრეტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის წინააღმდეგ ჩადენილი ამ ბოროტების მიზეზი გახლდათ ომის დროს ჩეჩნებისა და ინგუშების მიერ წარმოებული შეიარაღებული ბრძოლა წითელი არმიის წინააღმდეგ, მათი ლოიალური დამოკიდებულება მტრის დივერსიული ჯგუფებისადმი. თურმე გერმანელების მითითებით ამგვარი ჯგუფები საკუთრივ ვაინახების მიერ იქმნებოდა საბჭოთა არმიის ზურგში. ამ დროს, ჩეჩნეთ-ინგუშეთში საერთოდ არ შესულან გერმანელები. სინამდვილეში ვაინახთა ამ უმძიმესი ხვედრის უმთავრესი წყაროა კომუნისტურ-ბოლშევიკური კაცმოძულე იდეოლოგიის ზზამიანი ბუნება გახლდათ, იდეოლოგიისა, რომლის საძირკველს ტერორი და ყოვლისმპყრობელობა, დაპყრობილი მიწების ავტოქტონური მოსახლეობის გეგმაზომიერი გაჟღენთისა და ამ ნაყოფიერ მიწებზე „რუსული წალკოტის“ შექმნისაკენ სწრაფვა შეადგენს. ამ თვალსაზრისით საბჭოთა ბოროტების იმპერია რუსეთის ცარისტული იმპერიის ღირსეული მემკვიდრეა.

ზწორედ მეფის რუსეთმა ამ 190 წლის წინ ხელი მიჰყო სრულიად კავკასიის ერთა გენოციდს. ყველასთვის კარგადაა ცნობილი ის ბოროტმოქმედება, რომელსაც 1801 წლიდან ეწოდა ჯერ ცარისტული, შემდეგ კი ბოლშევიკური რუსეთი საქართველოში. ასეთივე იყო ჩრდილოეთ კავკასიის ერთა ხვედრი. 1864 წელს, 80-წლიანი ბრძოლის შემდეგ რუსეთის ურდოებმა გასტეხეს მათი მედგარი წინააღმდეგობა და სისხლში ჩაახშვეს მათი დამოუკიდებლობა. ცალკეულ ოლქებად გახლიჩეს კავკასიელთა საერთო გმირის, იმამ შამილის მიერ გაერთიანებული სამთავრო.

1944 წლის ტრაგედიამ მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. დიდი გულისტკივილით შეხვდა ამ ცნობას ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რომელიც გახლდათ ჯერ 30-იანი წლების შუა ხანებში დაფუძნებული „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“-ს, შემდეგ კი 40-იანი წლების დამლევს „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს დაარსების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი.

ქართველთა და ვაინახთა მრავალსაუკუნოვანი ძმობის ნათელი დადასტურებაა ის სამგლოვიარო შეკრებები და წარმომადგენლობითი ფორუმები, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს პერიოდულ გამოცემებში გაბნეული ის შესანიშნავი პუბლიკაციები, რომელთა სულისჩამდგმელნი და ავტორნი ქართველი ემიგრანტები იყვნენ. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ადგილებს ჟურნალებში „კავკაზ“-სა და Объединеный Кавказ“-ში გამოქვეყნებული მასალებიდან.

1952 წლის 23 თებერვალს მიუნჰენში შედგა ჩრდილოეთკავკასიელთა 1944 წ. ტრაგედიის წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო შეხვედრა, რომელზეც შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა ქართველ ტრადიციონალისტთა საზღვარგარეთ მოქმედი კავშირის ერთ-ერთი ლიდერი, გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე დათა ვაჩნაძე. მოხსენებამ შეკრებილთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა. იგი სრული სახით დაიბეჭდა ჟურნალ „Кавказ“-ის იმავე წლის მარტის ნომერში. დათა ვაჩნაძე იყო „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი საკორდინაციო საბჭოს და ზემოხსენებული ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი, დასავლეთის ანტიბოლშევიკური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე.

„დღევანდელი დღე, კავკასიაში დატრიალებული უდიდესი ტრაგედიის თარიღია: 1944 წლის 23 თებერვალს მოსკოვის ხელისუფალთა ბრძანებით, რუსული წითელი არმიის მიერ ჩადენილია გაუგონარი ბოროტება. ხიშტებისა და ტყვიამფრქვევების საშუალებით კავკასიურ მშობლიურ მიწა-წყალს მოგლიჯეს, შუა აზიის სტეპებსა და ციმბირის ტუნდრაში წაასხეს ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური რეგიონის უძველესი მობინადრენი — ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ყარაჩაი-ბალყარეთის რესპუბლიკების აბორიგენი მოსახლეობა მილიონი სულის ოდენობით.

ამ სისასტიკეს, ჩადენილს ჩვენს განათლებულს XX საუკუნეში მოსკოვის ხელისუფლების მიერ, ანალოგიური პრეცედენტები მოეპოვება გასულ ასწლეულში.

80 წლის წინ, რომანოვთა იმპერიის მესვეურთა მითითებით მრავალრიცხოვანმა რუსულმა არმიამ, შეიჭრა რა ჩერქეზეთში და ადგილზევე ჩახოცა რა ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, 1864 წელს თურქეთში იძულებით გაასახლა მილიონზე მეტი ჩერქეზი“. — წერს ქართველი ავტორი.

იქვე, რუსთა მნიშვნელოვანი მასის ველიკორუსული, დიდმპყრობელური სულისკვეთების საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს დასავლეთში მოღვაწე ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნ. პუშკარსკის სიტყვები:

„ოუსეთის გაფართოება აღმოსავლეთით და ზღვათა მიმართულებით იყო სახალხო, სტიქიური პოეზია ახალი მიწებისა. ამ გადაადგილებას წინ უძღოდა რუსეთისათვის დიდი რაოდენობით მიწების მიერთება. ეს ისტორიული გზა ღრმადაა ჩაბეჭდილი რუსი ხალხის შეგნებაში“. საგულისხმო და მეტყველი სიტყვებია!

„ქრისტიანული რუსეთის ხელისუფალთა მიერ ხსენებულ ეპოქაში წარმოებული ხოცვა-ჟლეტის მეთოდები ერთგვაროვანი იყო კავკასიის ნებისმიერი ერის მიმართ. განურჩევლად მისი სარწმუნოებისა. მრავალრიცხოვანი ოფიციალური დოკუმენტები გასული საუკუნისა თვალნათლივ გვიჩვენებს რუსეთის იმპერიის მაშენებელთათვის დამახასიათებელ ამ ბუნებას. აი, ერთი მათგანი, მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ გაუსწორდნენ რუსები ერთმორწმუნე ქართველებს, რომელნიც აღშფოთებულნი იყვნენ რუსეთის ხელისუფლების სასტიკი ძალადობით. კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სახალხო ამბოხების სისხლში ჩახშობის შემდეგ გენერალი რტიშჩევი თავისი მოხსენებითი ბარათით 1813 წლის 11 ივლისს შემდეგს ატყობინებდა ალექსანდრე I-ს (იხ. ალ. ბერჟეს „აქტები“):

8 ივლისს ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში მონაწილე ქართველთა დასასჯელად სხვადასხვა ხეობაში გაგზავნილ იქნა მძლავრი რაზმები. მიუხედავად ქართველთა ყოველგვარი მცდელობისა, დაეცვათ საკუთარი სახლ-კარი და მიწა, 9, 10, 11, 12 რიცხვებში წარმოებული ბრძოლებით რუსულმა რაზმებმა, გადალახეს რა ყოველგვარი სიძნელეები, სამაგალითოდ დასაჯეს ამბოხებულნი, რომლებიც იარაღით ხელში წინ აღუდგნენ თქვენს აღმატებულებას. ფერფლად იქნა ქცეული 20 სოფელი, მოითხარა მთელ ქართველთა მთავარი ციხე-სიმაგრე შატილი. ყველა ეს დასახლებული პუნქტი შტურმით იქნა აღებული. აღმოფხვრილია ის საშიში შეთქმულება, რომელიც მთიელთა მომიჯნავე მოსახლეობის გაერთიანების გზით ემუქრებოდა ქვეყნის მშვიდობიან ცხოვრებას“.

XIX საუკუნის დამლევს, ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლით, ხელოგდებული კავკასიური ქვეყნების „ათვისების“ გზაზე მკვიდრდება პერიოდი საშინელი რუსიფიკაციისა და რუს გადმოსახლებულთა მიერ კავკასიის მიწების მასობრივი კოლონიზაციისა. ასეთი გახლდათ გასულ საუკუნეში „რუსეთისათვის კავკასიური ოლქების მიმტკიცებიდის თარიღია: 1944 წლის 23 თებერვალს მოსკოვის ხელისუფალთა ბრძანებით, რუსული წითელი არმიის მიერ ჩადენილია გაუგონარი ბოროტება. ხიშტებისა და ტყვიამფრქვევების საშუალებით კავკასიურ მშობლიურ მიწა-წყალს მოგლიჯეს, შუა აზიის სტეპებსა და ციმბირის ტუნდრაში წაასხეს ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური რეგიონის უძველესი მობინადრენი — ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ყარაჩაი-ბალყარეთის რესპუბლიკების აბორიგენი მოსახლეობა მილიონი სულის ოდენობით.

ამ სისასტიკეს, ჩადენილს ჩვენს განათლებულს XX საუკუნეში მოსკოვის ხელისუფლების მიერ, ანალოგიური პრეცედენტები მოეპოვება გასულ ასწლეულში.

80 წლის წინ, რომანოვთა იმპერიის მესვეურთა მითითებით მრავალრიცხოვანმა რუსულმა არმიამ, შეიჭრა რა ჩერქეზეთში და ადგილზევე ჩახოცა რა ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, 1864 წელს თურქეთში იძულებით გაასახლა მილიონზე მეტი ჩერქეზი“. — წერს ქართველი ავტორი.

იქვე, რუსთა მნიშვნელოვანი მასის ველიკორუსული, დიდმპყრობელური სულისკვეთების საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს დასავლეთში მოღვაწე ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნ. პუშკარსკის სიტყვები:

„ოუსეთის გაფართოება აღმოსავლეთით და ზღვათა მიმართულებით იყო სახალხო, სტიქიური პოეზია ახალი მიწებისა. ამ გადაადგილებას წინ უძღოდა რუსეთისათვის დიდი რაოდენობით მიწების მიერთება. ეს ისტორიული გზა ღრმადაა ჩაბეჭდილი რუსი ხალხის შეგნებაში“. საგულისხმო და მეტყველი სიტყვებია!

„ქრისტიანული რუსეთის ხელისუფალთა მიერ ხსენებულ ეპოქაში წარმოებული ხოცვა-ჟლეტის მეთოდები ერთგვაროვანი იყო კავკასიის ნებისმიერი ერის მიმართ. განურჩევლად მისი სარწმუნოებისა. მრავალრიცხოვანი ოფიციალური დოკუმენტები გასული საუკუნისა თვალნათლივ გვიჩვენებს რუსეთის იმპერიის მაშენებელთათვის დამახასიათებელ ამ ბუნებას. აი, ერთი მათგანი, მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ გაუსწორდნენ რუსები ერთმორწმუნე ქართველებს, რომელნიც აღშფოთებულნი იყვნენ რუსეთის ხელისუფლების სასტიკი ძალადობით. კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სახალხო ამბოხების სისხლში ჩახშობის შემდეგ გენერალი რტიშჩევი თავისი მოხსენებითი ბარათით 1813 წლის 11 ივლისს შემდეგს ატყობინებდა ალექსანდრე I-ს (იხ. ალ. ბერჟეს „აქტები“):

8 ივლისს ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში მონაწილე ქართველთა დასასჯელად სხვადასხვა ხეობაში გაგზავნილ იქნა მძლავრი რაზმები. მიუხედავად ქართველთა ყოველგვარი მცდელობისა, დაეცვათ საკუთარი სახლ-კარი და მიწა, 9, 10, 11, 12 რიცხვებში წარმოებული ბრძოლებით რუსულმა რაზმებმა, გადალახეს რა ყოველგვარი სიძნელეები, სამაგალითოდ დასაჯეს ამბოხებულნი, რომლებიც იარაღით ხელში წინ აღუდგნენ თქვენს აღმატებულებას. ფერფლად იქნა ქცეული 20 სოფელი, მოითხარა მთელ ქართველთა მთავარი ციხე-სიმაგრე შატილი. ყველა ეს დასახლებული პუნქტი შტურმით იქნა აღებული. აღმოფხვრილია ის საშიში შეთქმულება, რომელიც მთიელთა მომიჯნავე მოსახლეობის გაერთიანების გზით ემუქრებოდა ქვეყნის მშვიდობიან ცხოვრებას“.

XIX საუკუნის დამლევს, ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლით, ხელოგდებული კავკასიური ქვეყნების „ათვისების“ გზაზე მკვიდრდება პერიოდი საშინელი რუსიფიკაციისა და რუს გადმოსახლებულთა მიერ კავკასიის მიწების მასობრივი კოლონიზაციისა. ასეთი გახლდათ გასულ საუკუნეში „რუსეთისათვის კავკასიური ოლქების მიმტკიცებიდის

ჩეჩნეთ-ინგუშეთის 1944 წლის ტრაგედია
და
ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

ლის ქონება დატაცებულ იქნა, ხოლო ნავთობით მდიდარი მისი ტერიტორიები ცენტრალური [illegible] თიდან გადმოყვანილი [illegible] მუშებითა და გლეხებით [illegible] ასეთივე განადგურება და გადასახლება განიცადა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ავტონომიური ოლქის — ბალყარეთის 200 ათასმა მცხოვრებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ორი ერის ამ ბარბაროსულმა განადგურებამ მთელი ცივილიზებული საყაროს აღშფოთება გამოიწვია და ეს ფაქტი აშკარად ეწინააღმდეგება „გაერო“-ს პრინციპებს, დღემდე ამის შესახებ საკითხი არ გახდა ღირსი მაღალი საერთაშორისო დაწესებულების მიერ განხილვისა, დაწესებულების მიერ, რომელშიც ჩვენ ესოდენ მაღალი და პასუხსაგები პოსტი გიპყრიათ.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭოების ყენეგვაში გამართულ მხოლოდ ორ სხდომაზე, 1951 წლის 10 აგვისტოს, „შუა აღმოსავლეთისა და აფრიკის ეკონომიკური მდგომარეობის“ საკითხის ირგვლივ გამართული დისკუსიისას დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბატონმა კორლეი სმიტმა შეახსენა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს არკადიევს „საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ყირიმის რესპუბლიკების მიმართ ჩადენილი წარმოუდგენელი დანაშაულის“ შესახებ. მაგრამ ბრიტანეთის დელეგატის კეთილშობილმა გამოქომაგებამ და საბჭოთა დელეგაციის უზნეო რეპლიკებმა, სამწუხაროდ, გაგრძელება ვერ ჰპოვა. „გაერო“-ს მაშინდელი გენერალური მდივნის ბატონ ტრიგვე-ლისადმი „ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული კომიტეტი“-ს მიმართვის პასუხად 1952 წლის 10 მარტს „გაერო“-ს კადამიანის უფლებათა განყოფილებიდან მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ „კავკასიაში გენოციდის შესახებ საკითხი (პარაგრ. 75, V პუნქტის თანახმად) დაყენებული იქნება ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად“. სამწუხაროდ, ეს დაპირება არ განხორციელებულა და ერთი მილიონი ადამიანის სიცოცხლის ფასად დამჯდარი დანაშაული ყურადღების მიღმა დარჩა.

ამასთან, საბჭოთა მთავრობა განაგრძობს „კავკასიის ერთა გასანადგურებლად მიმართულ თავის დანაშაულებრივ პოლიტიკას...

ამდენად, სტრაბონის დროიდან ცნობილი „კავკასიელი ერები ჩვენს თვალწინ რიგ-რიგობით გაქრებიან საბჭოთა ტირანიის დარტყმების გამო.

ვეყურდნობით, რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 87-ე პარაგრაფს, მოგმართავთ თხოვნით თქვენ, ბატონო გენერალურო მდივანო, რათა კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობისათვის მიმართოთ ყოველი ღონე კავკასიაში გენოციდის შესახებ საკითხის განხილვისა და ამ ამაზრზენი დანაშაულის გამოსაძიებლად „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საანკეტო კომისიის „დანიშვნისათვის“. — ასეთი გახლავთ მემორანდუმის შინაარსი.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული ნათლად მეტყველებს იმ დიდ თანადგომაზე, რომელიც ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ გამოიჩინა ჩვენი მომძე ვაინახების მიმართ. ჩვენის ღრმა რწმენით, ეს და ისტორიის მსგავსი მაგალითები საწინდარია ქართველთა და ვაინახთა შემდგომი ურღვევი თანამეგობრობისა.

ლევან ურუშაძე

ჭედს ვიბრით ბია აბესაძის სახელის წინაშე. სიყვარულით, ტკივილით, სინანულით გვავსებს მისი ხსოვნა.
ღმერთმა ქნას, შენი თავგანწირვის ღირსნი აღმოვჩნდეთ.

ბაზეთ-„თავისუფალი საქართველოს“ რედაქცია

საქართველო გლოვობს თავის უწყალოდ დაღუპულ შვილებს. თქვენი სიცოცხლე, უკანასკნელი მსხვერპლი იყოს საქართველოში სიყვარულის, ჰარმონიის, მშვიდობის დასამკვიდრებლად.

რედაქცია

რედაქტორის მოადგილე თამარ ებრალიძე

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, შუხრან მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ ნულეიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-31-37.

იბეჭდება ოფსეტური წესით ზოზარაულის ქუჩა № 29

ინდექსი 66421